ხაშურის მოამბე

№9 (383) 13 მარტი, ორშაბათი, 2023 წელი

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

გასულ კვირას, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი უძღვებოდა.

სხდომას ესწრებოდნენ ხაშურის მუნიციპაიტეტის მერიის სამსახურების ხელმძღვანელები.

სხდომამ ხმათა უმრავლესობით დაამტკიცა დღის წესრიგით გათვალიწინებული საკითხები:

1. „ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

2. „ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 7 აპრილის №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

3. დაბა სურამში, ლესია უკრაინკას ქუჩის მიმდებარე უსახელო გეოგრაფიულ ობიექტისათვის „წმინდა ელიას“ ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ;

4. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის მეორე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

საკრებულომ, აგრეთვე, მოსმინა და შეაფასა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ „ხაშურის სამუზეუმო გაერთიანების“ ანგარიში 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ, წარმოდგენილი სამუზეუმო გაერთიანების ხელმძღვანელის თამაზ ლაცაბიძის მიერ და ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის ანგარიში 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ, რომელზეც დეტალური პრეზენტაცია წარმოადგინა სამსახურის ხელმძღვანელმა სერგო ლალიაშვილმა.

სხდომით გათვალიწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ, საკრებულოს წევრებს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ახალი პროგრამის შესახებ ინფორმაცია გააცნო სოფლის განვითარების სააგენტოს უფროსმა ჯემალ გელაშვილმა.

სხდომას, დირექტორთან, მორის დანდურიშვილთან და საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროს ზვიად გოგუაძესთან ერთად, ესწრებოდნენ 1 საჯარო სკოლის მოსწავლეები.

ხაშურის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა პირებმა, სოფელ ოსიაურში, 1921 წლის 4-6 მარტს გმირულად დაღუპული ჯარისკაცების ხსოვნას პატივი მიაგეს

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანმა, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე მაკა დიდებულიძემ, საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე თათია ბროლიძემ და მერიის წარმომადგენლებმა, მემორიალი გვირგვინით შეამკეს.

ღონისძიება ტრადიციულ ხასიათს ატარებს და მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის ორგანიზებით იმართება.

1921 წლის 4-6 მარტს ქართული არმიის მთავარსარდალ კვინიტაძის და გენერლების - მაზნიაშვილისა და სუმბათაშვილის მეთაურობით წითელი არმიის წინააღმდეგ კონტრშეტევა განხორციელდა. ხაშურში განთავსებული იყო მთავარსარდლის შტაბი და მათი დაცვა ევალებოდათ იუნკერთა სასწავლებლის კურსანტებს.

ოსიაურთან შეტაკებისას 120 ქართველი ჯარისკაცი დაიღუპა.

რკინიგზელ ქალბატონებს, 8 მარტს, ფასიანი საჩუქრები გადაეცათ

საქართველოს რკინიგზელთა პროფესიული კავშირი და მისი თავმჯდომარე გელა გელაშვილი რომ დღენიადაგ ზრუნავენ რკინიგზელთა კეთილდღეობისთვის და მათი პროფესიული წინსვლისთვის, არახალი ამბავია და ჩვენი მკითხველი ბევრჯერ გაცნობია ინფორმაციას ამის დასტურად. პროფკავშირს არც წლევანდელ 8 მარტს დარჩენია უყურადღებოდ რკინიგზელი ქალბატონები და 1500-ზე მეტ თანამსრომელს ფასიანი საჩუქრები გადასცა, “რკინიგზაში დასაქმებული ქალბატონები მუდამ იდგნენ ჩვენი სისტემის ავანგარდში და მათი როლი საქართველოს რკინიგზის საერთო წინსვლაში მართლაც დიდი და შეუფასებელია. ვულოცავთ თითოეულ მათგანს ქალთა საერთაშორისო დღეს და ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებთ”,- განაცხადა პროფკავშირის თავმჯდომარემ გელა გელაშვილმა.

ხაშურში, ძნელაძის ქუჩაზე, მიწისქვეშა გადასასვლელის რეაბილიტაციის სამუშაოები იწყება

მოქალაქეთა უმრავლესობა ქალაქის ერთი ნაწილიდან მეორეში გადაადგილებისთვის სწორედ ამ მიწისქვეშა გადასასვლელით სარგებლობს, ამიტომ მისი მოწესრიგება პრიორიტეტულია და მნიშვნელოვანი.

სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ ხაშურელი მოქალაქეებისთვის გადაადგილება უსაფრთხო და კომფორტული გახდება.

თუმცა, რადგანაც ხშირია ამ ტერიტორიის ხელოვნურად დაზიანების ფაქტები, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიამ გადაწყვიტა ზედამხედველობა სათვალთვალო კამერების საშუალებით განახორციელოს.

პროექტი უახლოეს დღეებში დაიწყება და ღირებულება 214 592 ლარია.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მიერ 2022 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №39 დადგენილების საფუძველზე, როგორც მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეული, უზრუნველყოფს ეკონომიკური მუნიციპალური პროგრამების შემუშავებას, სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება-დამუშავებას, მუნიციპალიტეტის სივრცითი - ტერიტორიული დაგეგმვისა და ქალაქთმშენებლობის დოკუმენტების შემუშავებას, მშენებლობის ნებართვის თაობაზე გადაწყვეტილების მომზადებას, მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვას და მართვას.

სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის, მერიის დებულების, ეკონომიკური განვითარების სამსახურის დებულების, საქართველოს მთავრობის 08.12.2014წ. №669, 20.02.2014წ. №189 დადგენილებების და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად. სამსახური შედგება სამსახურის ხელმძღვანელისა და მეორადი სტრუქტურული ერთეულებისგან-განყოფილებებისაგან:

1. მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილება;

2. სივრცითი მოწყობის და არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის რეგულირების განყოფილება.

სამსახურის საშტატო განრიგი შედგება, სამსახურის უფროსის, განყოფილების ხელმძღვანელის, განყოფილების ხელმძღვანელის მ/შ და 8 მოხელისაგან - (სივრცითი მოწყობის და არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის რეგულირების განყოფილება-4; მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილება-4).

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის, მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილების მიერ, მოქმედი კანონმდებლობისა და დებულების შესაბამისად, გატარებულია რიგი ღონისძიებები და პროცედურები.

2022 წელს - წიაღის ეროვნული სააგენტოდან შემოსულია 32 მომართვა, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზანშეწონილობის თაობაზე დაკმაყოფილებულია 10 მოთხოვნა, 22 მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ბრძანებით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, დამატებითი ქონების სახით გადმოგვეცა შემდეგი უძრავი ქონება: (17)

ხაშური, დაბა სურამი ს/კ 69.04.59.750;
ხაშური, სოფ. ცხრამუხა ს/კ 69.11.52.302;
ხაშური, დაბა სურამი ს/კ 69.04.61.664;
ხაშური, დაბა სურამი ს/კ 69.04.59.760;
ხაშური, რუსთაველის ქუჩა ს/კ 69.08.63.608;
ხაშური, შუშის ქარხნის დასახლება 4, სართული 1. ს/კ 69.08.21.280.01.501;
ხაშური, რუსთაველის ქუჩა ს/კ 69.08.63.630;
ხაშური, კოსტავას ქუჩა. ს/კ 69.08.58.490;
ხაშური, რუსთაველის ქუჩა, ს/კ 69.08.58.489;
ხაშური, რუსთაველის ქუჩა, ს/კ 69.08.59.569;
ხაშური, ხეთაგუროვის ქუჩა, ს/კ 69.08.52.478;
ხაშური, რუსთაველის ქუჩა, ს/კ 69.08.59.570;
ხაშური, სოფელი ალი, ს/კ 69.01.59.348;
ხაშური, რუსთაველის ქუჩა, ს/კ 69.08.59.587;
ხაშური, რუსთაველის ქუჩა, ს/კ 69.08.63.629;
ხაშური, ფარნავაზის ქუჩა, ს/კ 69.08.64.340;
ხაშური, ფარნავაზის ქუჩა, ს/კ 69.08.64.341.

მომზადდა საპრივატიზებო და სარგებლობის უფლებით გადასაცემი ობიექტების ნუსხა და დოკუმენტაციის შესაბამისი პაკეტი. არ შედგა ელექტრონული აუქციონი, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ხაშურში, სოფელ ოსიაურში მდებარე (ს/კ 69.03.55.294) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის პრივატიზებაზე. აუქციონი შედგა ხაშურის მუნიციპალიტეტის, სოფელ ნაცარგორაში მდებარე (ს/კ 69.05.57.266) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობაზე. ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასური იყო 5000 ლარი, აუქციონის შედეგად შემოთავაზებული ფასი არის 5250 ლარი.

2022 წლის 13 დეკემბერს გამოცხადდა უპირობო ელექტრონული აუქციონი ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტომანქანების თაობაზე: 1. „TOYOTA LANDCRUISER PRADO" (სახელმწიფო ნომერი 779) და 2. „HYUNDAI TUCSON" (სახელმწიფო ნომერი 778). შედგა ელექტრონული აუქციონი ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტომანქანაზე „TOYOTA LANDCRUISER PRADO" (სახელმწიფო ნომერი 779), ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასური იყო 25 500 ლარი, აუქციონის შედეგად შემოთავაზებული ფასი არის 25 700 ლარი. არ შედგა ელექტრონული აუქციონი, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ავტომანქანაზე „YUNDAI TUCSON" (სახელმწიფო ნომერი 778).

2022 წელს, პრივატიზების შედეგად, მიღებული თანხა განისაზღვრა 30 950 ლარით.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში სულ შეტანილია 12 ობიექტი, ასევე, დაინტერესებული პირების მომართვის საფუძველზე, მიმდინარეობს საპრივატიზებოდ მიმზიდველი უძრავი ქონების შერჩევა-შეფასების პროცესი.

მოქალაქეთა საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების მოთხოვნათა ელექტრონულ ბაზაში შეყვანილია - 17 ბენეფიციარი.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის №189 დადგენილებით, კანონიერი მოსარგებლისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის შესაბამისად, შემოვიდა 4 განცხადება, მომზადდა უარის ბრძანების 1 პროექტი, 3 განცხადება დაკმაყოფილდა და გაიცა საკუთრების მოწმობა.

2022 წელს- ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება: უსასყიდლო უზუფრუქტით და უსასყიდლო აღნაგობის ფორმით გადაეცა სხვადასხვა საჯარო სამართლის და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურდიულ პირებს, მათ შორის:

1. უსასყიდლო აღნაგობის ფორმით 49 წლით გადაეცა საქართველოს საპატრიარქოს უძრავი ქონება (ს/კ 69.03.60.904) ტაძრის მშენებლობისთვის, ხაშური, ყოფილი აგურის ქარხნის ტერიტორია.

2. უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, არსებობის ვადით, გადაეცა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას (ს.კ.203845018), კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის ტერიტორიაზე მდებარე უძრავი ქონება (ს/კ 69.06.62.737), შემდგომში „დიმიტრი ყიფიანის საჯარო ბიბლიოთეკის" განთავსების მიზნით.

3. უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცა, ა(ა)იპ საბიბლიოთეკო გაერთიანებას ა(ა)იპ-ის არსებობის ვადით, ხაშური, შუშის ქარხნის დასახლება №4-ში 1-ლ სართულზე მდებარე უძრავი ქონება, (ს/კ 69.08.21.280.01.501) ბიბლიოთეკის ფუნქციონირებისათვის.

4. უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცა, ა(ა)იპ საბიბლიოთეკო გაერთიანებას,ა(ა)იპ -ის არსებობის ვადით. ხაშური,კოსტავას ქ. მდებარე უძრავი ქონება (ს/კ 69.08.58.346.01.506), ამერიკის კუთხის ფუნქციონირებისათვის.

5. უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცა ა(ა)იპ „სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულების ხაშურის კომპლექსურ სასპორტო სკოლას, ხაშურში წმინდა ნინოს ქ. №1-ში მდებარე უძრავი ქონება (ს/კ 69.08.53.172) (სტადიონი) ა (ა)იპ -ის არსებობის ვადით.

6. უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 7 თვის ვადით, გადაეცა ა(ა)იპ „ახალგაზრდები ხაშურის განვითარებისთვის" (ს.კ. 443872855) ხაშურში, თამარ მეფის ქუჩა №1-ში მდებარე 236,46კვ.მ. უძრავი ქონება (ს/კ 69.08.58.260.01/501).

7. უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით არსებობის ვადით გადაეცა ა(ა)იპ საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 7 ერთეული უძრავი ქონება (ამბულატორიები).

8. უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 წლის ვადით, გადაეცა ა(ა)იპ საზოგადოება ბილიკს. ხაშურში, თამარ მეფის ქუჩა №1-ში მდებარე უძრავი ქონებიდან (ს.კ. 69.08.58.260.01/500) 229.44 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი.

2022 წელს განახლდა ძველი ახალი იჯარის ხელშეკრულებები შემდეგ უძრავ ქონებაზე:

1. სს „საქართველოს ბანკი-ს ბანკომატისათვის. ხაშურში, ტაბიძის ქ. 2-ში (ს/კ 69.08.58.209)

2. სს „ლიბერთი ბანკი-ს„ ბანკომატისათვის. ხაშურში, ტაბიძის ქ. 2-ში (ს/კ 69.08.58.209)

3. შპს "ჯეო დისტრიბუშენ გრუპი"-სათვის. ხაშურში, რუსთაველის ქ. მემორიალის მიმდებარედ (ს/კ 69.08.58.267) 202კვ.მ-დან 20კვ.მ.

4. შპს „ვიონი საქართველო"-სთვის. ხაშური, ტაბიძის ქ. 2-ში მდებარე 16,50კვ.მ. უძრავი ქონება (სარდაფი) (ს/კ 69.08.58.209.01/509).

2022 წელს იჯარით გაცემული ობიექტებიდან შემოსული თანხა განისაზღვრა 24 880,29 ლარით, ხოლო ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზებიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა 261 000 ლარი.

დაწყებულია საქმისწარმოება უძრავი ქონების იჯარის ფორმით გადაცემასთან დაკავშირებით შემდეგ ობიექტებზე:

1. შპს "რეფერალური დახმარების ცენტრისათვის",

2. შპს „მაგთიკომისათვის" ტაბიძის ქ.№2-ში მდებარე 33 კვ.მ ფართის გადაცემისათვის.

3. სს „სილქნეტისათვის" გარე განათების კონსტრუქციების ნაწილის გადაცემა (76 ბოძის) ოპტიკურ ბოჭკოვანი კაბელის განთავსებისათვის.

ხაშურის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილების

დასასრული მე-3 გვერდზე

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მიერ 2022 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში

დასასრული, დასაწყისი იხ. მე-2 გვერდზე

მიერ ეტაპობრივად ხორციელდება მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული უძრავი ქონების საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაცია. დასრულდა მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე არსებული ამორტიზებული მოძრავი ქონების ლიკვიდაციის (ჩამოწერის) პროცესი, ასევე, მიმდინარეობს მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული უძრავ-მოძრავი ქონების ინვენტარიზაცია. 2022 წელს, მერის რეზოლუციით ,დაგვეწერა 447 კორესპონდენცია, რომლის 95 % შესრულებულია.

მოქალაქეთა მიერ შემოტანილი განცხადებების საფუძველზე, განხილული და დამტკიცებული იქნა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები - 110 შემდგომში ნებართვების მისაღებად, შეთანხმებულია - I კლასის ობიექტების მშენებლობის 105 პროექტი, შეთანხმებულია დოკუმენტაცია მიწის ნაკვეთის კატეგორიის ცვლილების შესახებ - 32, დადგინდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების საზღვრები - 6, შესრულდა მიწის ნაკვეთების გაყოფის - 203 და გაერთიანების 72 განცხადება, პასუხი გაეცა ფიზიკური და იურიდიული პირებისგან შემოსულ მრავალ მომართვასა და განცხადებას.

გაიცა მშენებლობის 92 ნებართვა, მათ შორის: ხაზობრივ ნაგებობებზე - 3, საცხოვრებელ სახლებზე - 32, კომერციულ ობიექტებზე - 18, დემონტაჟი - 9, რეკონსტრუქცია - 14, სასაწყობე შენობებზე - 1, ავტოფარეხი - 1, ავტოსერვისი - 7, ფერმა - 1, პროფესიული სასწავლებელი 1, სასტუმრო - 3, ანძა - 2.

გაცემულია ნებართვა მოცულობით დიდ ობიექტებზე: ხაშურის მუნიციპალიტეტი, დაბა სურამი, 26 მაისის ქუჩაზე მდებარე 69.04.60.286 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შპს „ივერია“-ს ოთხსართულიანი სასტუმროს მშენებლობისთვის, ხაშურის მუნიციპალიტეტი, იმერეთის ქუჩაზე მდებარე 69.08.60.745 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული შპს „გეო-2008“-ის სავაჭრო ცენტრის მშენებლობაზე.

დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები სოფელ ქვიშხეთში ხუთსართულიანი სასტუმროს მშენებლობისათვის სანებართვო დოკუმენტაციის მოსამზადებლად.

მშენებლობის სანებართვო მოსაკრებლებიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა 35 300 ლარი.

დამტკიცდა, განაშენიანების დეტალური გეგმა: ხაშურის მუნიციპალიტეტი, დაბა სურამი, სოფელი ჩუმათელეთი 69.04.56.308 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შპს „პარკჰოტელის“-ს სასტუმროების კომპლექსის მშენებლობისათვის და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

განხილვის პროცესშია სივრცითი დაგეგმარების მოსამზადებელი დოკუმენტაცია სოფელ ალექსანდრესწყაროში ახალი დასახლების მიწათსარგებლობისთვის განაშენიანების რეგულირების გეგმის შესამუშავებლად.

სერგო ლალიაშვილი,
ეკონომიკური განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი

ხაშურის სამუზეუმო გაერთიანებაში დაცული ნაქარგობის ნიმუშები

ქართული ქარგულობა უძველესი დროიდან იყო განთქმული. ქარგვას, ისევე როგორც ხელსაქმის სხვა სახეობებს, ქალს ბავშვობიდანვე ასწავლიდნენ. ქარგვა ქართველი ქალების საყვარელი საქმიანობა იყო. ხელსაქმის ცოდნა მანდილოსნისთვის სავალდებულოც კი გახლდათ. ჩვენამდე მოღწეული ქართული ნაქარგობები თამამად შეიძლება მივიჩნიოთ ხელოვნების ნიმუშებად, რაც ძველი ქართველი ოსტატების დახვეწილ გემოვნებაზე მეტყველებს. მქარგველები უმეტესად ბუნებრივ საღებავებს იყენებდნენ. ყველა ოსტატის მიზანი იყო, სამოსს წლებისთვის გაეძლო და ძაფი არ გაუფერულებულიყო. ამისთვის ძაფს ძმრით, წიდითა და მარილით ტკიცავდნენ. ძირითადი საქარგი მასალა არის ოქროსა და ვერცხლის თმა, ოქრომკედი, ვერცხლმკედი და აბრეშუმის ძაფი. ქარგვის პროცესი, უწინარესად, ქარგას, საქარგავ დაზგას უკავშირდება. ქსოვილის ქარგაზე დამაგრებამდე, მასზე სასურველი გამოსახულების დატანა უძველესი დროიდან ორი წესით ხდებოდა(სახე მხოლოდ დანასველებ ქსოვილზე დაიტანება): 1. პირდაპირ ქსოვილზე(მიწარზე) ბასმით, მელნით ან ფანქრით იხატებოდა მოსაქარგი სახე ან კომპოზიცია; 2. თხელ ტყავზე ან ქაღალდზე შესრულებული ნახატი კონტურზე ნემსით(ან მახათით) იჩხვლიტებოდა. შემდეგ დადებდნენ მოსაქარგ ქსოვილზე, ზედ გადაატარებდნენ ბადისებრ პატარა ტომარაში ჩაყრილ ნაცარს ან ცარცს, რომელიც კონტურის ნაჩვრეტებში გადიოდა და მასზე ნაცრის კვალს ტოვებდა. კვალზე მონახაზ

კონტურს, ქარგაზე დამაგრებულ მოსაქარგ ქსოვილსა და მუსა ტილოზე ნემსითა და ძაფით „სვამდნენ“, აფიქსირებდნენ. ქარგვისას იყენებდნენ რკინის მაქოებს-დუთიფილებს, რომლის სწორი მოხმარებაც ნაქარგის რელიეფურობას განაპირობებდა. ქარგვის გასრულების შემდეგ, მქარგავი მას დატკიცავდა, გაჯანდრავდა, რასაც ხის ან ეშვის ენერგიული გასმით ახერხებდა.

ძვირფასი მასალით, მისი სიძვირის გამო, ძირითადად, მაღალი წრის ქალბატონები ქარგავდნენ ეკლესია-მონასტრებსა და დიდგვაროვანთა სახლებთან არსებულ სახელოსნოებში, თუმცა, აქ სოციალურად დაბალი წრის ქალებიც იყვნენ დასაქმებულნი. მქარგველნი ნაქარგში ასახავდნენ თავიანთ ნიჭსა და გემოვნებას. ხელსაქმისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება ყველა ფენისა და წოდების ქალთა ნამუშევრებში შეინიშნება. ქარგვის ხელოვნების სრულყოფას ხელს უწყობდა საქართველოში აბრეშუმის წარმოების უძველესი ტრადიცია, ამასთანავე, იმპორტული აბრეშუმის შემოდინება. ოქრომკედისა და ვერცხლმკედის გარდა, ქარგულობაში დიდი ადგილი ეჭირა აბრეშუმის ფერადი ძაფით ქარგვას. ხელსაქმის ოსტატებს შორის იყვნენ ისეთებიც, რომელთა ნაწარმი საექსპორტოდ გაჰქონდათ. ქართველ ქალთა ოსტატობა განსაკუთრებით, გამოვლინდა ფეოდალური ხანის საეკლესიო ნაქარგობასა და საერო სამოსის მოქარგვა-გამშვენებაში. გვ. 284. ქართული ტრადიციული სამოსი.

ქარგვისას გამოიყენებოდა როგორც დაგრეხილი, ისე შლილი აბრეშუმის ძაფი. დაგრეხილი ნაკლებად მბზინვარეა და მას ორმხრივი „სითვით“(ანუ ქარგვით, უძველესი დროიდან სითვა ქარგვას ნიშნავს) ქარგვისას იყენებენ, ხოლო დაუგრეხავი ატლასისებური სიპრიალით გამოირჩევა და ამგვარ ნაქარგს „ატლასურს“ უწოდებენ. საქარგავი მასალა იყო „ზეზიც“(აბრეშუმის ფერად ძაფზე შეგრეხილი ოქროს და ვერცხლის თმა), რისი გამოყენებაც საქარგავ მასალად მხოლოდ საქართველოში დასტურდება.

ოქრომკედის ხელობის მცოდნეთ „სრული ხელობის ოსტატებს“ უწოდებდნენ. ოქრომკედი ორი სახის ძაფის ერთობაა. გაბრტყელებული ოქროს თმა ეხვეოდა საშუალო სიმსხო აბრეშუმის შლილ ძაფს, ანუ მკედს. მიღებული ძაფით იქარგებოდა როგორც საერო, ისე საეკლესიო დანიშნულების ნივთები. ძაფის სტრუქტურიდან გამომდინარე, ქარგვისას მისი გაყრა არ ხდებოდა ქსოვილში, ის ზემოდან მაგრდებოდა აბრეშუმის იმ ფერის ძაფით, რომელიც შეესაბამებოდა ოქრომკედსა თუ ვერცხლმკედს. ქართულ წერილობით წყაროებში ნახსენებ ტერმინ „ოქრონემსულს“ მოგვიანო ხანის ძეგლებში ოქრომკედით ნაკერი შეესატყვისება. ისტორიულ ჰერეთში, საინგილოში, ოქრომკედით ნაქარგს „ზარბაბს“ უწოდებდნენ. ძვირფას ქსოვილებზე ოქრომკედით ნაქარგ სახეებში ხშირად ურთავდნენ მარგალიტს, ფერად მძივებსა და პატიოსან თვლებსაც. მე-19 საუკუნის დამდეგს ირანსა და ოსმალეთში გატანილი ქართული ოქრომკედული ნაქარგობა საუკეთესო ნახელავად ითვლებოდა მთელ აზიაში და ყველაზე ძვირად ფასობდა.

საეკლესიო და საერო დანიშნულების ნაქარგი ნივთები საქართველოში უძველესი დროიდანვე არსებობდა. ქართული ნაქარგობის ნიმუშებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ე. წ. „დაფარნებს“, ანუ საფარებლებს. ბერძნულად მას „აერ“ ერქვა. 1142 წლის ათონის მონასტრის აღწერებში მოხსენიებული საფარებელი ქართულმა „დაფარნის“ სახელით შეითვისა. „დაფარნებს“ „გარდამოხსნის“ მრავალფიგურიანი კომპოზიციებით განსაკუთრებული დანიშნულება აქვთ. ისინი სხვა საეკლესიო ნივთთაგან იმითაც განსხვავდებიან, რომ მათ ზედაპირზე ამოქარგული გამოსახულება ცალკეულ ფიგურებს ან ორნამენტებს კი არ შეიცავს, არამედ საკმაოდ რთულ სიუჟეტურ კომპოზიციას, რომელიც დაკავშირებულია ქრისტიანული იკონოგრაფიის მრავალსაუკუნოვან ტრადიციასთან.

ქრისტიანული ტრადიციით, „გარდამოხსნა“ (ბერძნულად „ეპიტაფიოს“, რუსულად „პლაშენიცა“) წარმოდგენილია იმ არდაგად („არმენაკი წმინდა“), რომელზეც დასვენებული და შემდეგ შეგრაგნილი იყო ჯვრიდან გარდამოხსნილი ქრისტეს სხეული. ოთხივე სახარების თანახმად, გარდამოხსნილი ქრისტე „წაგრაგნა“ იოსებ არიმათიელმა „საფლავის დადების წინ“(„ვითარცა ჩვეულება არს ურიათა დაფლვისა“). იოანეს სახარებაში „წაგრაგნის“ თანამონაწილედ მოხსენიებულია ნიკოდიმოსი. არდაგზე გამოსახულია ჯვრიდან გარდამოხსნილი, მიწაზე ან სარეცელზე დასვენებული გარდაცვლილი ქრისტე, რომელიც, ჩვეულებრივ, ანგელოზებით და მტირალი ახლობლებითაა გარშემორტყმული.

„გარდამოხსნა“ საქართველოში ბიზანტიიდან შემოდის. მისი მთავარი ეპიზოდი, ქრისტეს ტირილი, მეთერთმეტე საუკუნის ბერძნულ მინიატურებში გვხვდება. ამავე საუკუნის მეორე ნახევრის მინიატურებში უკვე შემუშავებულია ქრისტეს ტირილის კომპოზიციის იკონოგრაფიული სახე. ღვთისმშობელს შვილი ჩაკრული ჰყავს გულში და დედობრივი სიყვარულით ლოყა ლოყაზე აქვს მიდებული. ამ სურათს ავსებს მძაფრი მოძრაობით გამოხატული ნიკოდიმოსისა და იოსების მწუხარება, მარიამ მაგდალინელის ხელაღმართული გლოვის პოზა და მწუხარე ანგელოზები.

„გარდამოხსნის“ სიუჟეტი ქართულ წერილობით წყაროებში მე-12 საუკუნიდან ჩნდება. საინტერესოა, ამ პერიოდის გელათის ოთხთავის მხატვრობა, სადაც ქრისტეს სხეული ღვთისმშობლის კალთაში ასვენია, ნიკოდიმოსსა და იოსებს გაჭიმული ფეხები უჭირავთ, ამას ემატება კიდევ იოანეს მოკრძალებული მწუხარე ფიგურა.

ჩვენამდე მოღწეული ნაქარგი „გარდამოხსნებიდან“ უძველესია მეფე გიორგი VIII-ს(1446-1466 წ. წ.) დაკვეთით ნაქარგი გარდამოხსნა, რომელიც შესრულებულია ლურჯი აბრეშუმის ქსოვილზე(192 სმ 158 სმ). მოსე ჯანაშვილის მონათხრობით, ეს „გარდამოხსნა“ 1614 წელს შაჰ აბასს მცხეთიდან გაუტაცია სპარსეთში და ყაჯარად გამოუყენებია(ვახტანგ ბერიძე. „ქართული ნაქარგობის ისტორიიდან“. თბილისი, 1983 წ. გვ. 13.), ცხენისთვის უნაგირად დაუფენია. მაშინ სპარსეთში რაღაც წყლული გავრცელებულა, რომელიც მოსახლეობას დიდ უბედურებას აყენებდა, რაც შაჰს ღვთის რისხვისთვის მიუწერია „გარდამოხსნის“ შეურაცხყოფისთვის და ეს უკანასკნელი დიდი საჩუქრებით ისევ მცხეთისთვის დაუბრუნებია.

აღნიშნული „გარდამოხსნა“ ნაქარგია დამაგრებული „სითვით“ და ყაისნაღური ნაკეთობით. ნახმარია ოქროცურვილი ვერცხლის თმა(რომლის დამაგრებისას გამოყვანილია პაწაწინა რომბები, ტეხილი ტალღისებური ხაზები, „ლიანდაგურა“, „თევზის ფხური“, ან „სადა სითვი“) და ფერადი აბრეშუმის ძაფი. ოქროცურვილ თმას, ნაქარგობის მცირე რელიეფურობისათვის ქვემოდან უდევს ჩალისფერი დაუგრეხავი აბრეშუმის ძაფი (ქეთევან დავითაშვილი. ქართული ნაქარგობის ძეგლები. ძეგლის მეგობარი. №31-32. თბილისი. 1973 წ. გვ. 32.). ფონი-

გაგრძელება მე-5 გვერდზე)

ხაშურის ისტორიისათვის (1693 - 2020 წწ)

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29 2020 წ. 2021 წ. .#1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20,21,22,23,24,25,26,29,31,33, 34,35,40,41,42,43..2022 წ. #1, 2.3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20,21,22,23,24,25,26,27,28,29,30,31,32,33,34,35,36,37,38,39,40,41,46,47,48,49,50. 2023წ.#1,2.3, 7, 8)

80-იანი წლების ბოლოს, „ივერიის” წარმატებულ ასპარეზობაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით თემურ კობერიძეს და ვლადიმერ ხაჩიძეს. მათ 1989 წელს თითქმის დაშლილი გუნდი ხელმეორედ შექმნეს და I ჯგუფში მეხუთე ადგილზე გავიდა. ამავე წელს „ივერიამ” მონაწილეობა მიიღო ტურნირში, რომელიც უკრაინაში, ყირიმში გაიმართა, III საპრიზო ადგილი დაიკავა და უნგრეთის საგზური მოიპოვა ორი ამხანაგური მატჩის ჩაასატრებლად.

1990 წლის იანვარში შეიქმნა პროფესიული საფეხბურთო კლუბი „ივერია“, რაც დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქალაქის სპორტულ ცხოვრებაში. იმავე წლის მარტში, საფეხბურთო სეზონის დაწყებამდე ორი კვირით ადრე, ცნობილი გახდა, რომ საფეხბურთო გუნდი „ივერია” საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში იასპარეზებდა. ამ გადაწყვეტილებამ დიდი სიხარულით აღავსო გულშემატკივრები, მაგრამ გუნდი გარკვეული პრობლემის წინაშე აღმოჩნდა. ფაქტობრივად, გუნდი ახლიდან უნდა შექმნილიყო და მოწესრიგებულიყო სტადიონი.

ქალაქის წარმოება-დაწესებულებებმა და ფეხბურთის ცალკეულმა გულშემატკივრებმა სათანადოდ შეაფასეს „ივერიის” წარმატება და შექმნილი მდგომარეობა და აქტიურად ჩაერთნენ მთელი რიგი პრობლემების გადაჭრაში. დღითიდღე იზრდებოდა კლუბ „ივერიის შემადგენლობა კოლექტიური და ინდივიდუალური წევრების სახით, რომლებიც ფინანსურად ეხმარებოდნენ მას. გამოჩნდა ორგანიზაციები, რომლებმაც „შემოსეს” გუნდი.

მარტის ბოლოს „ივერიამ” უკვე განაცხადი წარადგინა საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატში მონაწილეობისთვის. განაცხადში 16 ფეხბურთელი იყო შეყვანილი. რაც შეეხება სტადიონის პრობლემებს, გადაწყდა დაწყებულიყო მისი სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები, მანამ კი მხოლოდ გასვლითი თამაშები ექნებოდა გუნდს, ხოლო სამუშაოების დამთავრებამდე რომელიმე მეზობელი რაიონის სტადიონი აეღოთ იჯარით.

31 მარტს „ივერიამ“ პირველი მატჩი გამართა გალის „მზიურთან”, მიუხედავათ წაგებისა (1:0) „ივერიის” თამაში მაინც ოპტიმისტურად განაწყობდა ფეხბურთის მესვეურებს. მართალია, გუნდი ორი კვირის შექმნილი იყო და ჯერ კიდევ აკლდა სათამაშო პრაქტიკა, მაგრამ მწვრთნელებისა და თავად ფეხბურთელების მონდომება ამის საფუძველს ქმნიდა. გალელებთან „ივერია” შემდეგი შემადგენლობით თამაშობდა: მურადაშვილი, ჭანგურიძე, ცხოვრებაშვილი, ამბოკაძე, ლაცაბიძე (ქიმერიძე), ხარაზიშვილი (ჭყონია), აბაზაძე, პოზოიანი, თევზაძე (რობაქიძე), ჯაკობია, ტიტვინიძე.

5 აგვისტოდან დიდი ფეხბურთის ასპარეზად იქცა ხაშური. ამ დღეს მწყობრში ჩადგა ახალი სტადიონი და ქალაქში პირველად შემოაბიჯა ეროვნულმა ჩემპიონატმა. აქ თავი მოიყარეს ხაშურლებმა და სტუმრებმა სხვადასხვა რაიონიდან გაიმართა სტადიონის საზეიმო გახსნის ცერემონიალი. შესავალ სიტყვას ამბობს რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ჯუმბერ კურტანიძე, შემდეგ დამსწრე საზოგადოებას მიმართა ხაშურის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის მოძღვარმა მამა ჯუმბერმა. ვაჟთა მომღერალთა გუნდი ასრულებს „მრავალჟამიერს”, შემდეგ მწვანე მოედანზე პატარა გოგო-ბიჭების მონაწილეობით სრულდება ცეკვა „ქართული”. შემოაქვთ ეროვნული დროშა, რომელიც ხელთ უპყრიათ „ივერიის” სხვადასხვა თაობის კაპიტნებს: ჯუდუ ორჯონიკიძეს, თენგიზ კეკუტიას, ზურაბ მელაძეს და თენგიზ ოსაძეს. ისინი მაყურებელთა ტაშის გრიალში სტადიონის გარშემო აკეთებენ საპატიო წრეს.

შემდეგ შემოდიან ფეხბურთელები, დიქტორი კითხულობს ქართული ფეხბურთის ვეტერანის გრიშა ჯომარდიძის მილოცვის ტექსტს:

„ძვირფასო ხაშურელებო!

ძვირფასო ფეხბურთის გულშემატკივრებო!

ჯერ კიდევ ჩემი თაობა ოცნებობდა ფარული სურვილით საქართველოს დამოუკიდებელ ჩემპიონატზე ფეხბურთში. მაშინ წარმოუდგენლად გვეჩვენებოდა ეს და რაოდენ ბედნიერი ვარ, რომ ამ დღესაც მოვესწარი. თანაც ორმაგი სიხარულია დღეს ჩემთვის – ეროვნულმა ჩემპიონატმა ახალ, მშვენიერ სტადიონზე შემოაბიჯა. ვწუხვარ, რომ ასეთ დღეს თქვენთან არ მიხდება ყოფნა.

ვწუხვარ, დღეს ვერ გავიგონებ იმ ნაცნობ ყიჟინს, წლების მანძილზე რომ მაღფრთოვანებდა, თუმცა, სულით და გულით მიგულეთ თქვენთან. ფეხბედნიერი ყოფილიყოს ეს დღე თქვენთვის ბიჭებო! წინ, ჩემო „ივერიავ”!

დაასრულა თუ არა ტექსტის კითხვა დიქტორმა, მოედანზე შემოიყვანეს ვეტერანი ფეხბურთელი გრიშა ჯომარდიძე, რომელსაც გულმა ვერ გაუძლო და ავადმყოფობის მიუხედავად სტადიონზე მოსვლა ისურვა... მთელი სტადიონი ფეხზე ადგომითა და ოვაციებით ხვდება ვეტერან ფეხბურთელს...

შემდეგ სიტყვებით გამოდიან რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ანზორ დანელია, დავით აღმაშენებლის საზოგადოების ხაშურის ორგანიზაციის თავმჯდომარე მურთაზ ლიპარტელიანი, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ხაშურის ორგანიზაციის თავმჯდომარე აქვესენტი გოგოლაძე...

მოედანზე გამოდიან ფეხბურთის მოთამაშენი. მედუდუკეთა ანსამბლი, ვასილ ღონღაძის ხელმძღვანელობით, ასრულებს „სალაღობოს“. გუნდის კაპიტნები გოჩა ფარფალია (გალის „მზიური”) და ვანო ხარაზიშვილი („ივერია”) ეროვნულ დროშას ამაგრებენ ალმის აღსამართ ლატანზე, რომელიც სულ მაღლა მიიწევს. იმავდროულად, ვაჟთა ვოკალური გუნდი (ხელმძღვანელი ა. ნემსაძე) ასრულებს საქართველოს ჰიმნს „დიდება”...

ბურთზე პირველი დარტყმა და თამაშში შეყვანის უფლება მიენიჭა „ივერიის“ ყოფილი მეკარის დავით ჩადუნელის ვაჟს.

ასე დაიწყო პირველი ეროვნული მატჩი ხაშურში...

იმ დღეს „ივერია” ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: ზ. მურადაშვილი, გ. ქიმერიძე, ლ. ცხოვრებაშვილი, კ. ამბოკაძე, მ. ლაცაბიძე, ვ. ხარაზიშვილი, ბ. აბესაძე, ბ. თევზაძე, გ. ჭინჭარაული, ო. ტიტვინიძე, უფროსი მწვრთნელი ვ. ხაჩიძე, კლუბის პრეზიდენტი რ. ჯობაძე.

1996 წლიდან „ივერია” I ჯგუფში თამაშობს. ქვეყანაში შექმნილი მძიმე ფინანსური და ეკონომიკური მდგომარეობა მძიმედ აისახა გუნდის საქმიანობაზე.

სხვადასხვა დროს „ივერიის” წარმატებაში თავიანთი წვლილი შეჰქონდათ მწვრთნელებს: ნ. ქურდაძე, ნ. იკაშვილს, ბ. კიკნაძეს, ჯ. ანთაძეს, თ. ოსაძეს, თ. კობერიძეს, ვლ. ხაჩიძეს და მ. ლაცაბიძეს.

50-იანი წლებიდან ხაშურში და მის რაიონში ქართული ჭიდაობის გვერდით ვითარდება კლასიკური, თავისუფალი და ჭიდაობის სხვა სახეობები. ხაშურელი სპორტსმენები წარმატებით გამოდიონენ რესპუბლიკური, საკავშირო და ევროპის შეჯიბრებებში.

ქართულ ჭიდაობაში ქალაქისა და რაიონის ღირსებას სხვადასხვა წლებში იცავდნენ: ივანე ლიჩელი, ოთარ შერაზადაშვილი, დავით მეტრეველი, ჯონდო კაპანაძე, თამაზ ელბაქიძე, დავით ნოზაძე და სხვები. ქართული ჭიდაობის კარგი ტრადიცია დამკვიდრდა სოფლებში: ურთხვა, ვაყა, ალი, ოსიაური, ფლევი... თითქმის ყველა ამ სოფელში 70-80-იან წლებში გაკეთდა საჭიდაო არენები.

ხაშურელი სპორტსმენები სისტემატურად ღებულობენ მონაწილეობას როგორც საქართველოს, ისე საკავშირო პირველობაში თავისუფალ, კლასიკურ, ასევე ძიუდოში და აღწევენ გარკვეულ წარმატებებს.

ჭიდაობის განვითარებას ხაშურში განსაკუთრებული ღვაწლი დასდო გიორგი ბარბაქაძემ, რომელსაც 1972 წელს სპორტში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება კლასიკურ ჭიდაობაში. მან არაერთი სახელოვანი სპორტსმენი აღზარდა. საქართველოს, საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს ჩემპიონის წოდება მოიპოვა თამაზ კიკნაძემ, საქართველოს, საბჭოთა კავშირის ორგზის პრიზიორი და შეიარაღებული ძალების საკავშირო ჩემპიონი გახდა ნიკოლოზ მირაქოვი. საქართველოს სამგზისა და „შრომითი რეზერვების” მრავალგზის ჩემპიონი იყო ნოდარ მაჭარაშვილი.

განსაკუთრებული მიღწევებით აღინიშნა რამაზ ხარშილაძის სპორტული ბიოგრაფია. მან სპორტულ სარბიელზე გამოსვლა ქართული ჭიდაობით დაიწყო. ნაცარგორელი ბიჭი ტოლს არავის უდებდა და ხშირად უფროსი ასაკის მოჭიდავეებსაც გულდაგულ ერკინებოდა. მეზობელ სოფლებში თანდათან ცნობილი გახდა მისი მკლავის ძალა და სულ მალე რაიონის ჩემპიონიც გახდა. მისი სპორტული ნიჭი შეუმჩნეველი არ დარჩა გიორგი ბარბაქაძეს და დაიწყო მისი წვრთნა.

რამაზი თანდათან ოსტატდებოდა, იძენდა გამოცდილებას, მალე მისი სახელი რესპუბლიკაშიც გახდა ცნობილი: 1967 წელს იგი საქართველოს ჩემპიონი გახდა ქართულ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის და კვარცხლბეკიდან არ ჩამოსულა სამი წლის განმავლობაში. წარმატებებს წარმატებები მოჰყვა. 1968 წელს გახდა „დინამოს” ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი ჭიდაობა სამბოში, ხოლო 1969 წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ჭაბუკთა შორის.

ქართული ჭიდაობით მადლმოსილი რამაზ ხარშილაძე იოლად ეუფლება ძიუდოსაც. 1969 წელს ბერლინში, ევროპის პირველობაზე ძიუდოში იგი მესამე საპრიზო ადგილზე გამოდის. ამ შედეგს იმეორებს თბილისში ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირზეც. მოსკოვში 1971 წელს გამართულ ჭაბუკთა საკავშირო პირველობაზე ჩემპიონი ხდება, ხოლო ნეაპოლში, ევროპის ახალგაზრდა მოჭიდავეთა პირველობაზე მეორე ადგილზე გადის...

რამაზ ხარშილაძემ, მრავალგზის საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებულმა, დამსახურებულად მოიპოვა 8-ჯერ სსრ კავშირის ჩემპიონობა, ორჯერ სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონობა, ევროპის ჩემპიონობა, მსოფლიოს პირველობაზე – მესამე ადგილი, ოლიმპიურ ასპარეზობაზე კი ვერცხლის მედალი.

რაიონში ჭიდაობის განვითარებაში თავისი წვლილი შეიტანა ხაშურის სასპორტო სკოლის თავისუფალი ჭიდაობის სექციის მწვრთნელმა, სპორტის ოსტატმა ვახტანგ კვინიკაძემ. მისმა აღსაზრდელებმა – გიორგი ჯელაძემ, გელა გელაშვილმა და დიმიტრი აბრამაშვილმა წარმატებებს მიაღწიეს თავისუფალ ჭიდაობაში.

70-იანი წლებიდან აღმავლობას განიცდის კლასიკური ჭიდაობის სახეობაც. ამ სახეობაში ევროპის ჩემპიონი გახდა ნოდარ მაჭარაშვილი, მსოფლიო ჩემპიონი თამაზ კიკნაძე, საქართველოს ჩემპიონები გახდნენ: ნიკოლოზ ხვედელიძე, დავით ქასაშვილი, ამირან წიქვაძე და სხვები.

განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა თავისუფალი ჭიდაობა. ამ სახეობაში სხვადასხვა დროს საქართველოს ჩემპიონები იყვნენ ძმები ვ. და დ. ლომიძეები, მ. კიკნაძე, შ. ჯოღერდაშვილი, მ. კვინიკაძე, მ. მჭედლიძე და ა. აკოფიანი. ჭაბუკებს შორის ევროპის ჩემპიონი გახდა ვალერი გელაშვილი, სსრკ ჩემპიონი ვაჟა ცხოვრებაძე.

ხაშურში მძლეოსნობის განვითარება მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ვლადიმერ ზანიერის სახელთან. მან მძლეოსანთა არაერთი თაობა აღზარდა, რომლებიც დღეს თავად ემსახურებიან მოზარდი თაობის აღზრდას.

60-იან წლებში ხაშურელ მძლეოსნებს შორის გამოირჩეოდა ხაშურის II საშუალო სკოლის მოსწავლე დალი ხვედელიძე. 1966 წელს მოსწავლეთა XVIII რესპუბლიკურ ჩემპიონატში მან ბადრო 31 მეტრსა და 60 სმ-ზე სტყორცნა და მესამე ადგილი დაიკავა. იმავე წელს საშემოდგომო პირველობაზე დალი ხვედელიძემ ბადრო 29,92 მეტრზე სტყორცნა და მეორე საპრიზო ადგილი დაისაკუთრა. დ. ხვედელიძის სპორტული ბიოგრაფია უფრო მნიშვნელოვანი მიღწევებით აღინიშნა 1967 წელს. 16-17 ნოემბერს გამართულ მოსწავლეთა საშემოდგომო პირველობაზე მძლეოსნობაში, მან ბადრო ტყორცნა 36.55 მეტრზე და საქართველოს ჩემპიონი გახდა. იგი შეყვანილი იქნა მოსწავლეთა რესპუბლიკურ ნაკრებ გუნდში და ყოველთვის წარმატებით ასპარეზობდა.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

ხაშურის სამუზეუმო გაერთიანებაში დაცული ნაქარგობის ნიმუშები

გაგრძელება, დასაწყისი იხ. მე-3 გვერდზე

მუქი ლურჯი სახეებიანი აბრეშუმია. ფიგურეულ კომპოზიციასა, წარწერებსა და გარეთა ბორდიურში ძალიან ბევრი ოქროა გამოყენებული. ოქროთია მორთული ანგელოზები (სახეების გარდა), სერაფიმები, ქერუბიმები, მტირალთა და სხვა პერსონაჟთა მოსასხამები, ქრისტეს წელსახვევი, მახარებლები, საფლავები. გამოყენებულია აბრეშუმის ფერები: ლურჯი, ღვინისფერ-სოსანისფერი და ხორცისფერი(ქრისტეს სხეული, სახეები, ხელები). (ვახტანგ ბერიძე. „ქართული ნაქარგობის ისტორიიდან“. თბილისი, 1983 წ. გვ. 35.).

ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ნაქარგი საეკლესიო ნივთებიდან, საინტერესოა, ერთიანი იკონოგრაფიული კომპოზიციის დეტალი, რომელზე გამოსახული პერსონაჟების მდებარეობა და მოძრაობა მიგვანიშნებს,რომ ის უნდა ეკუთვნოდეს „გარდამოხსნის“ კომპოზიციაში შემავალ „საფლავად დადების“ სცენას.

ექსპონატი-ხმმ 5794/ე-469-„გარდამოხსნის“ კომპოზიციის დეტალი, ნაქარგობა, ფერწერული ელემენტებით(47 სმ X 24 სმ). სავარაუდოდ, რუსული წარმომავლობის უნდა იყოს, მე-19 საუკუნეში შექმნილი. არ გამოვრიცხავთ მის ქართულ წარმომავლობასაც, შესრულების ტექნიკის გამო. შესრულების ტექნიკა: ქარგვა, ზეთით ფერწერა(მასალა: მოოქროვილი სპილენძის ძაფი, მოვერცხლილი სპილენძის ძაფი, აბრეშუმის ძაფი, ბამბის ძაფი, ტილო, მუყაო, ზეთოვანი საღებავი).

„გარდამოხსნების“, როგორც ნაქარგობების შექმნა ძალიან რთული პროცესი იყო. პირველი ეტაპი კომპოზიციის შერჩევა და სატანადო ფონზე ამ კომპოზიციის მოხაზვა იყო. რუსეთში ამ მონახაზის გაკეთება მხატვარს ევალებოდა. ნახატი საღებავით ან მელნით კეთდებოდა. მქარგველი კი მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგებოდა საქმეს (ვახტანგ ბერიძე. „ქართული ნაქარგობის ისტორიიდან“. თბილისი, 1983 წ. გვ. 84.). ფონად უმრავლეს შემთხვევაში აბრეშუმია გამოყენებული, ან ატლასი, ან, უფრო იშვიათად, „ამოსითვული“. იხმარებოდა სახეებიანი აბრეშუმიც, „ქამხა“, უფრო იშვიათად, ფონად ტილოს იყენებდნენ. ჩვენი „გარდამოხსნის“ ფონი, სწორედ, ტილოსია.

„გარდამოხსნების“ კანონიზირებული იკონოგრაფიული სიუჟეტის მიხედვით, შეიძლება განისაზღვროს ჩვენს ხელთ არსებულ დეტალზე გამოსახული პერსონაჟების ვინაობა, ესენია: იოსებ არიმათიელი და მის უკან მდგომი მწუხარე ანგელოზი. იოსები თითქოს არდაგს კიდებს ხელს, რომელზეც იესოა დასვენებული, ორივე ფიგურა -ით არის წარმოდგენილი და მიმართულია ცენტრისკენ, სადაც, სავარაუდოდ, წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო სიუჟეტის მთავარი იკონოგრაფიული ფიგურა-მაცხოვრის ცხედარი. ოსტატმა წმინდანები გამოსახა იკონოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით: სამოსით, ვარცხნილობით, კოლორიტით, იმის შესაბამისად, თუ როგორი იყო ამა თუ იმ წმინდანის გამოსახვის კანონიკა. მიუხედავად იმისა, რომ ერთიან კომპოზიციაზე, შესრულების მანერაზე თუ დამუშავების ხარისხზე მხოლოდ დღემდე შემორჩენილი დეტალის მიხედვით გვიწევს მსჯელობა, აღსანიშნავია, რომ ფრაგმენტი მთელი გრძნობით და დრამატიზმით გამოსახავს ქრისტეს „საფლავად დადების“ სცენას (განსაკუთრებით, სახეები).

ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული „გარდამოხსნის“ ფრაგმენტის ნაქარგობა შესრულებულია სადა და დამაგრებული სითვით(„სითვა“ არის ქარგვის ის სახეობა, რომლითაც საეკლესიო ნაქარგობის უდიდესი ნაწილია ნაქარგი). საქარგავად გამოყენებულია ოქროში და ვერცხლში დაფერილი სპილენძის თმა-სხეპელა, რომელიც შეგრეხილია ფერად აბრეშუმის ძაფზე ანუ მკედზე, ეს არის ე. წ. იმიტირებული „ოქრომკედი“ და „ვერცხლმკედი“ (ირაკლი ვართაგავა. ექსპონატ(ხმმ 5794/ე-469) „გარდამოხსნის“ კომპოზიციის დეტალი-სარესტავრაციო პასპორტი. თბილისი. 2014.).

„გარდამოხსნის“ რესტავრაცია ჩატარდა 2014 წელს, კერძო რესტავრატორ ირაკლი ვართაგავას მიერ.

კავკასიელ მთიელთაგან თავისი გამორჩეულობით, განსაკუთრებით, საინტერესონი ხევსურები არიან. მათი ეთნოგრაფიული შესწავლის პროცესში ხევსურთა ტომობრივი გენეზისის საკითხიც წამოიჭრა. ზისერმანმა, თავის ნაშრომში, რომელიც კავკასიის შესწავლის 25 წლიანი მუშაობის შედეგად წარმოადგინა, ხევსურები ჯვაროსან მეომართა შთამომავლებად მიიჩნია(1879 წ), თუმცა ხევსურეთის მკვლევარმა სხვა მეცნიერებმა ეს მოსაზრება არ გაიზიარეს. რ. ერისთავმა, გ. რადემ, ს. მაკალათიამ ხევსურები ქართველთა ერთ-ერთ უძველეს ტომად მიიჩნიეს.

ხევსურები თავისი იდენტობით გამორჩეული ხალხია. მათი ერთერთი უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია ხევსურული ტანსაცმელი, რომელიც გამორჩეულია თავისი ორიგინალურობით. ხევსური ქალისა და მამაკაცის სამოსის კომპლექტია ხევსურული ტალავარი, რომელიც შინნაქსოვი ტოლისგან იკერებოდა. ამავე სახელითაა ცნობილი ეს ქსოვილი თუშეთში, ფშავსა და ხევშიც. მიუხედავად საერთო სახელწოდებისა, არსებობდა ტოლის სხვადასხვა სახეობა. ხევსურული ტოლი უფრო უხეში, სქელი და მჭიდროდ ნაქსოვი იყო. აქაური ტალავარისათვის ბამბის ქსოვილი-„შილაიც“ გამოიყენებოდა. მოხეური და თუშური ტოლი შედარებით წმინდა შალისაგან იქსოვებოდა, უფრო თხელი და ნაკლებად მჭიდრო იყო.

ჩვენთვის საინტერესოა, რომ ქალისა და მამაკაცის ხევსურული ტანსაცმელი, ძირითადად, ნაქარგობით იყო გამშვენებული, მაგრამ გამოიყენებოდა ფერადი ქსოვილიც, რომლისგანაც „ზიკებსა“ და „ნაფთულებს“(ფერადი ქსოვილის ნაკუწები, იგივე აპლიკაცია) ამზადებდნენ. თითოეულ ფერად ზოლს გასდევდა მეორე დაკბილული ზოლი, რომელსაც „მწკეპრა“, ანუ „დაკბილული“ ეწოდება.

სამოსის შემქმნელები ცდილობდნენ, რომ ის ყოფილიყო პრაქტიკული, ლამაზი, მათი სულიერი სამყაროსა და გარემომცველი ბუნების შესატყვისი და წარმომჩენი. ხევსურული სამოსი მათი გენეტიკური გემოვნების ამსახველია(ი. მელიქიშვილი, ე. ნადირაძე, ლ. ტოგონიძე. ქართული ტრადიციული სამოსი(მე-18 - მე-19 საუკუნეები. გვ 189.).

1933 წელს საქართველოს გეოგრაფიულმა საზოგადოებამ ხევსურეთის შემსწავლელი ექსპედიცია მიავლინა იქ სერგი მაკალათიას ხელმძღვანელობით, რომელმაც ძალიან მნიშვნელოვანი მასალა მოაგროვა ადგილობრივი მთხრობელებისგან. ესენი იყვნენ თათარა ჭინჭარაული(ბარისახო), მგელა ჭინჭარაული(შატილი), ლელა, ნათელა და მელანია ბალიაურები(არხოტი), ალექსი ოჩიაური, ერასტი ბალიაური(ექიმი ბარისახოდან).

1944 წლის ივლისის თვეში ეთნოგრაფთა ერთი ჯგუფი, ლუბა ბოჭორიშვილისა და თინა ოჩიაურის შემადგენლობით, ხევსურეთს გაემგზავრა. ამ ექსპედიციის მუშაობის უმნიშვნელოვანესი შედეგი იყო გამოკვლევა ხევსურული ტალავარის შესახებ(ლ. ბოჭორიშვილი „ხევსურული ტალავარი“(მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისთვის. ტომი მე-8, ლ. ბოჭორიშვილი. ეთნოგრაფიული ნაწერები. გვ. 198).

ხევსური მამაკაცის ტალავარში შიდა სამოსს-პერანგს უპირველესი ადგილი ეკავა. კვართისებურად აჭრილ მამაკაცის პერანგს ამოკერილი „ჩაქიანი“ გვერდები,მიდგმული სახელოები და შვეულად ჩაჭრილი საკინძიანი გულისპირი(„-ფარაგა“) ჰქონდა. მას გვერდებზე, ერთ მტკაველზე, შეჭრილებს უკეთებდნენ, რომლებსაც სამხედროებს ეძახდნენ. მათი სამოსზე დატანა, სახელწოდებიდან გამომდინარე, მხედრობასთან, ანუ ცხენოსნობასთან იყო დაკავშირებული(ასეთი ჭრილების დატანა მას მოსახერხებელს ხდიდა ცხენზე საჯდომად). პერანგს ჯიბე მარჯვენა მხარეს უნდა ჰქონოდა. გულისპირის ყველაზე მეტად გამშვენებული ნაწილი დაქარგული და მძივებით შემკული „ფარაგა“ იყო. ამგვარადვე იქარგებოდა პერანგის სახელოები, საბეჭური, სამხედროები და კალთების ბოლოები. ორნამენტის უმთავრესი ელემენტი, განსაკუთრებით საბეჭურზე, ჯვარი იყო(ი. მელიქიშვილი, ე. ნადირაძე, ლ. ტოგონიძე. ქართული ტრადიციული სამოსი(მე-18- მე-19 საუკუნეები. გვ 211.). ხევსური მამაკაცი პერანგზე მუხლამდე მოკლე ჩოხას იცვამდა. ჩოხის უკანა კალთას ერთმანეთზე მიწყობილი ჩაქიანი „აზღოტები“ ამშვენებდა. მოძრაობაში ხელი რომ არ შეეშალა, სახელოები იღლიაში შეხსნილი იყო. წინიდან მთლიანად გახსნილ ჩოხასა და მკერდის ორ მხარეს თითო სამასრე ჯიბე ამკობდა(ი. მელიქიშვილი, ე. ნადირაძე, ლ. ტოგონიძე. ქართული ტრადიციული სამოსი(მე-18- მე-19 საუკუნეები. გვ 214.).

მამაკაცს ტალავარს ქალები ყოველწლიურად უკერავენ. ცოლის შერთვამდის ვაჟკაცს ტალავარს და უმზადებს, დაქორწინების შემდეგ კი ცოლია ვალდებული ქმარს კარგი ტალავარი ჩააცვას. ქმარს თუ ცუდი ტალავარი აცვია, ეს ცოლისათვის სირცხვილია; კარგად ნაჭრელი ტალავარი კი მისთვის სახელია და მას თემში აქებენ. ტალავარს ხევსურები ორ თვეში ერთხელ მაინც გარეცხავენ უსაპნო და ცივ წყალში, მაგრამ ამით მას ჭუჭყი და თებო მაინც არ შორდება. ხევსურული ტალავარის დამზადება მოითხოვს ბევრ მატყლს და მძიმე შრომას, განსაკუთრებით, ძნელია მამაკაცის „საბეჭურის“ მოქარგვა; იგი ზოგჯერ თვეობით კეთდება. ამას ხევსურეთში დღეს კარგად გრძნობენ და თვითონვე ცდილობენ ტალავარის შემკულობაში მეტი სისადავე შეიტანონ; ამასთანავე, ბამბის ქსოვილსაც ეტანებიან. განსაკუთრებით, მამაკაცები უკვე იცვამენ ბამბის შარვალ-ხალათებს და ზოგს მიტკლის საცვლებიც კი აცვია. ხევსური მამაკაცის ტალავარი ახლა უკვე აჭრელებულია. თითო ხელი ხევსურული ტალავარი ყველას აქვს შენახული და მას ხატობა-დღესასწაულებში იცვამენ(ს. მაკალათია „ხევსურეთი“. თბილისი. 1935 წ. გვ. 155-160). მას შემდეგ, რაც რუსეთიდან შემოვიდა ფერადი მაუდები, ქალებს დაუწყიათ ამ მაუდების „სკლატის ზიკებით“ თავიანთი ფარაგებისა და მამაკაცების „საბეჭურების“ დაჭრელება. „სკლატის ზიკებით“ ამკობდნენ ტალავარის მაჯებსაც. „სკლატის ზიკებთან“ ფერადი მაუდისგან იჭრებოდა სხვადასხვა სახის ფიგურები: ირიბი, დაკბილული, მრგვალი, ნაფთული, ჯვარი(ხატი), კვერა და სხვა. ამ „სკლატის ზიკებს“ შიგადაშიგ ამკობდნენ მძივის კვერანებით, მძივ-ღილებით, ვერცხლის ცვარით და „ცაფურასტით“(საკინძი).

საზოგადოდ, ხევსურულ ნაქსოვ-ნაჭრელს ახასიათებს ღია ფერების სიჭარბე და ჯვრებისა და გეომეტრიული სახეების მრავალგვარი კომპოზიცია. ჯვრის ეს ელემენტები ხევსურულ ტალავარზე გადასულია ვერცხლის შიბებიდან, რომლებიც ჯვრებითაა შემკული. ჯვარი, როგორც ქრისტიანობის ემბლემა და ბოროტების დამთრგუნველი ნიშანი ჩვენში ყველგან გავრცელებული იყო და მორწმუნე ხევსური ამ მიზნით აკერებდა ჯვრებს თავის ტალავარზე. ამასთანავე, ხევსურული ნაჭრელის ფერადობას და მის გეომეტრიულ ელემენტებს აგრეთვე კავშირი აქვს ფშავისა და მთიულ-თუშეთის ხალიჩა-ფარდაგების სახეებთან, საიდანაც გადმოღებულია ამ აბრეშუმის „საბეჭურის“ მოტივებიც.

ტალავარს ბუნებით ფერადი მატყლისგან მოქსოვილი ტოლისაგანაც კერავენ, მაგრამ უპირატესად მაინც მათ თეთრი ტოლის გამოყენება უხდებათ. ტალავარს ჯერ შეკერავენ და მერე სამღებროში შეღებავენ(„ტოლ რო მაიქსოვების, უნდა დაიჭრას, დაიკერას და სამღებროჩი ჩავიდესო“). ხევსური მამაკაცის ტალავარი მუქი ლურჯი ტოლისგან მზადდებოდა. ამ ფერის მისაღებად ხმარებულ ბალახს „ხევსურის ლილა“ ეწოდებოდა. „ხევსურის ლილა ბალახია, რომლითაც ხევსურნი ლურჯად ღებენ შალებს“(ს. ს. ორბელიანი). გასაშრობად თოკზე ჩამოკიდებულ ტოლს სიმძიმეს დაკიდებდნენ, რათა ქსელი და მისაქსელი კარგად გამშრალიყო და ნაქსოვიც დაჭიმულიყო.

მზია ლობჟანიძე,
ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდების მთავარი მცველი

(დასასრული შემდეგ ნომერში)

— წარმატებული ქალბატონები —

„მკერვალი“ - ბრენდი, რომელსაც საქართველოში უკვე კარგად იცნობენ

ერთი წელია, რაც უკვე „მკერვალი“ ქართულ ონლაინ ბაზარზე გამოჩნდა და მომხმარებლის მოწონება და სიყვარული დაიმსახურა. მიზეზი რამდენიმეა, საქართველოს რუკები, ასომთავრული წარწერები და ქართული დეტალები ჰუდებსა და სპორტულ ორეულებზე, კარგად მოერგო თანამედროვე სამოსს, რომელსაც ერთნაირი სიამოვნებით ირგებს ყველა ასაკობრივი კატეგორიის მომხმარებელი. სოფო გრიგალაშვილი „მკერვალის“ დამფუძნებელია, ერთი წლის მხოლოდ სურვილი, საკუთარი საქმე ჰქონოდა, დღეს წარმატებულ სამკერვალო საქმედ ექცა. სამი შვილის დედაა და ერთნაირი წარმატებით ათავსებს ორივე, მისთვის საამაყო სტატუსს. სოფო იმ ერთ წელზე გვესაუბრა, იდეიდან, როგორ მოვიდა დღემდე და რა სამომავლო გეგმები აქვს მომავალში.

-მთავარი გადაწყვეტა ის იყო, რომ ჩემი საქმე უნდა მქონოდა-ეს იყო ამბის მთავარი ნაწილი. დავიწყე ძიება, რა შეიძლებოდა, გამეკეთებინა. რამდენიმე ვარიანტი განვიხილე. ძალიან მომწონდა ნაქარგები, რადგან პროცესი იყო ჩემთვის ძალიან საინტერესო. მივედი იქამდე, რომ თუ დაქარგვა მინდოდა, მჭირდებოდა რაიმეს შეკერვა, სადაც ამ ნაქარგს გადავიტანდი. აქედან მოვიდა ის ყველაფერი, რასაც დღეს „მკერვალი“ ჰქვია. დედაჩემის გამოცდილების იმედად დავიწყე თავიდან, რადგან მე მხოლოდ ის მქონდა გადაწყვეტილი, რომ აუცილებლად რაღაც საქმე უნდა დამეწყო. დედა ბავშვობიდან გვიკერავდა და გვიქსოვდა, ამის განვითარება დავიწყეთ. ძალიან მნიშვნელოვანი იყო დედაჩემის მხარდაჭერა, საბანკო ვალდებულება აიღო, რითაც ვიყიდეთ საკერავი მანქანები და დავპრინტე საქართველოს რუკები, ორეულები და ჰუდები. ეს იყო პირველი მცდელობა. პრინტი იმდენად მომეწონა, რომ რამდენიმე დღეში საქარგიც მოვიტანე.

-რა არის „მკერვალის“ მიმართულება, როგორი სტილის სამოსს სთავაზობთ მომხმარებელს?

-ძალიან მომწონს სპორტული სტილი, მოთხოვნადია და ჩემი გათვლაც თავდაპირველად ეს იყო. ხაშურის მუნიციპალიტეტში ისეთი ტიპის სამკერვალო, რომელსაც თავისი ხაზი ექნებოდა, არ იყო. ზუსტად ერთი წლის წინ გავხსენით და მუშაობის პროცესმა ძალიან ბევრი რამ გვასწავლა. განვთარდით, გავზარდეთ პროდუქციის სახეობაც. ძალიან რთული აღმოჩნდა სახელის მოფიქრება. დედაოებმა შემომთავაზეს ეს იდეა და ძალიან მოგვეწონა.

-რით გამოირჩევა თქვენი სამოსი, რა ნიშა გიჭირავთ?

-ამ საქმის წამოწყება არ იყო მარტივი, თავიდან ორი საკერავი მანქანა მოვიტანეთ, იმდენი ტექნიკური ნიუანსი იყო, დიდ მოგებაზე ვერ გავალთ. მე ვიყენებ ჩემს უპირატესობას, ნაქარგობას, ქართულ ნიშნებს, რაც გამოარჩევს „მკერვალს“ ბაზარზე არსებულ სხვა პროდუქციისგან. ამიტომ ჩემი ორიენტირი ამ ეტაპზე, ცნობადობის გაზრდაა, ამ კუთხით ვმუშაობთ აქტიურად. ყველაზე მეტად ის არ მინდა, რომ ვინმესთან მსგავსება მქონდეს. ამიტომ, ვფიქრობ და ასეცაა, რომ „მკერვალი“ ძველი ქართულის გაცოცხლებაა, გათანამედროვება. უნდა აღვნიშნო, რომ ცოტა რთულია, სიახლეების მიღება მომხმარებლისთვის. გვქონდა ისეთი ჰუდები, რომლებიც წელიწადის თვეებს გამოხატავდა, მაგრამ ვერ იმუშავა. ძალიან კარგად მუშაობს საქართველოს რუკა. დავამატეთ ყაბალახები, რამდენიმე შეკვეთა გავაკეთეთ და მომხმარებლის ძალიან დიდი მოწონებაც დაიმსახურა.

-რამდენი ადამიანი გყავთ დასაქმებული? რა არის მთავარი ორიენტირი, რომლისკენაც მიდიხარ?

-მიუხედავად იმის, რომ გაყიდვები ყოველთვის სტაბილური არაა, ვფიქრობ, რომ ძალიან კარგია, რომ ეს საქმე მაქვს. თავიდან მე და დედა ვიყავით, არც მკერავი მყავდა, ხარჯსაც მიზრდიდა, დროც მეტი მიქონდა. ძალიან მალე დავასაქმე რამდენიმე ქალბატონი. ამ ეტაპზე ექვსი ადამიანი მყავს დასაქმებული. მაქსიმალურად ვცდილობ, ყველაფერი ისე გაკეთდეს, როგორც ვგეგმავ. მქონდეს საკუთარი მაღაზია, მანეკენებით და ყველა იმ დეტალით, როგორიც მაღაზიას აქვს.

-გაყიდვები როგორ ხდება? როგორია მომხმარებელთა შეფასებები?

-99 პროცენტი ონლაინ შეკვეთებია, ცოტა დროში იწელება პროცესი, განსხვავებით საწარმოო პროცესისგან, რადგან ინდივიდუალურად ხდება ყველა შემოსულ შეკვეთაზე მუშაობა და ბევრი დეტალია განსახილველი. მაქსიმალურად ვცდილობთ, მომხმარებელი იყოს კმაყოფილი. ყველა პროცესში ბოლომდე ვარ ჩართული და შეკვეთა ჩემი მონაწილეობის გარეშე არ იგზავნება მომხმარებელთან. ყველაზე დიდი პრობლემა, რომლის წინაშეც დავდექით, კვალიფიციური მუშა-ხელია, ჩვენ შემთხვევაში, მკერავები და გამომჭრელები.

მომხმარებელთან კომუნიკაცია ყველაზე მნიშვნელოვანია ჩემთვის, მაქსიმალურად ბოლომდე ამომწურავ ინფორმაციას ვაწვდი, ყველა დეტალის შესახებ, მათი დამოკიდებულება და შეფასებები ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ჩემი საქმე, კმაყოფილი მომხმარებელია.

-საკერავი მასალა საიდან მოგაქვთ, რამდენად მისაღებია მომხმარებლისთვის „მკერვალის“ პროდუქციის ფასები?

-ლილოდან მომაქვს საკერავი მასალა, ყველაზე მაღალი ხარისხის, რაც შემოდის საქართველოში, საკმაოდ მაღალი ღირებულებისაა და ბევრი ცნობილი დიზაინერი იყენებს ამ ნედლეულს. მაგრამ მათი ნაწარმის ფასი გაცილებით მაღალია. კონკურენციის ამ პირობებში, ჩემს მთავარ უპირატესობად ხარისხს ვთვლი. ამის გათვალისწინებით, ვფიქრობ, ძალიან მისაღები ფასებია. არ ვგულისხმობ ბაზრის ფასს, რადგან ისინი საწარმოოდ მზადდება და დიდი რესურსი იზოგება. ჯერ რადგან მცირე საწარმო ვართ, ინდივიდუალურად გვიწევს ყველა შეკვეთაზე მუშაობა. თუმცა, ამ და ბევრი ნიუანსის გათვალისწინებით, მაინც ვთვლი, რომ ფასი ძალიან მისაღებია და ამას ჩვენი მომხმარებლებიც აღნიშნავენ. გადახდის ფორმაც ძალიან მისაღები და კომფორტულია მომხმარებლისთვის. შეკვეთის დასრულების შემდეგ, გაგზავნამდე იხდიან თანხას.

-როგორც ვიცი„მკერვალის“ სპორტული ხაზი ძალიან აქტუალურია საქართველოს მასშტაბით. ძირითადად, რომელზეა ყველაზე დიდი მოთხოვნა?

-ბათუმია ძალიან აქტიური დაკვეთებით, ითხოვენ საოჯახო ორეულებს, მწერენ, როდის გავხსნი ფილიალს. ვფიქრობ, ზაფხულში, მოვსინჯო ძალები ბათუმშიც. ბათუმამდე, ხაშურში, მაღაზიაში, ერთ ადგილზე გავხსენი სტენდი, მინდოდა, მომხმარებელს თვალი შეევლო, ერთგვარი მარკეტინგია, ვიზუალურად გააცნო შენი პროდუქცია.

-ჰუდები გვაქვს, სპორტული ორეულები. სპორტული ხაზი ძალიან აქტიურია, თუმცა, გარდა ამისა, სხვა კორპორატიულ შეკვეთებსაც ვიღებთ. რამდენიმე საწარმოს მივაწოდეთ უნიფორმები.

უნდა გარისკო, მოსინჯო, გამოიყენო შესაძლებლობა, თუნდაც იმიტომ, სათქმელი გქონდეს საკუთარ თავთან, რომ სცადე და არ გამოვიდა, სცადე და გაამართლა-ასეე დასრულდა ჩვენი შეხვედრის პირველი ნაწილი. მეორე შეხვედრა უფრო დიდ წარმატებებზე საუბრისთვის დავგეგმეთ. ძლიერი ქალები, რომ ჩვენი მომავალია, სწორედ ეს ინტერვიუა ამის მაგალითი, რომელიც, დარწმუნებული ვარ, ბევრი ქალისთვის უდიდეს სტიმულად იქცევა.

თამარ ჯავახიშვილი

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.